კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გაძლიერებისთვის საჭირო მიდგომები და მიმართულებები

მწვანე ალტერნატივა

2025

ნარკვევი მომზადებულია მწვანე ალტერნატივას მიერ „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება გერმანიის ფედერალური მთავრობის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერით

აღნიშნულ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მწვანე ალტერნატივას და შესაძლოა არ გამოხატავდეს, გერმანიის ფედერალური მთავრობის კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის და სადიაკვნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს პროტესტანტული განვითარების სამსახურის (BROT) შეხედულებებს.

ნარკვევში გამოყენებულია მწვანე ალტერნატივა/თაკო რობაქიძის ფოტოები

© მწვანე ალტერნატივა, 2025

სარჩევი

შესავალი *3*

საქართველოსთვის რელევანტური საერთაშორისო პროცესები *5*

გლობალური მიზანი ადაპტაციისთვის **5**

კლიმატის ფინანსების ახალი კოლექტიური რაოდენობრივი მიზანი **5**

დანაკარგი და ზარალი **6**

სენდის ჩარჩო კონცეფცია კატასტროფების რისკის შემცირებისთვის **7**

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მნიშვნელობა და მისი შემუშავება *8*

ადაპტაციის დაგეგმვისთვის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებები და მიდგომები *9*

ადაპტაციის მართვის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივ დონეზე მართული ღონისძიებების პრიორიტეტულობა **10**

კატასტროფის რისკების შემცირება და დანაკარგისა და ზიანის პრობლემებზე მუშაობა **11**

ბუნების დაცვის გაძლიერება, როგორც ადაპტაციის განუყოფელი პროცესი **13**

ბუნებაზე დაფუძნებული ადაპტაციის მიდგომების დამკვიდრება **14**

ადაპტაციის პოლიტიკის გენდერული მეინსტრიმინგი **15**

დასკვნა *16*

შესავალი

კლიმატის კრიზისი გლობალური მასშტაბით ბევრ სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემას ქმნის, რაც ადგილობრივ თემებსა და ეკოსისტემებზე მწვავედ აისახება. ეს გავლენები არაპროპორციულად არის გადანაწილებული რაც იმას ნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით მწვავედ მოწყვლად და დაუცველ (მაგალითად, მოხუცები, ბავშვები, ქალები, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები) თემებზე მოქმედებს.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის მე-6 ანგარიშის მიხედვით, გლობალური მოსახლეობის თითქმის ნახევარი ძალიან მოწყვლადია გვალვების, სითბური ტალღებისა და წყალდიდობების მიმართ. კლიმატის ცვლილების გამო, უარესდება უსაფრთხოება, საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობა და ჰაერის ხარისხი. სათბურის აირების შემცირებისა და ამ ზემოქმედებებთან ადაპტაციის უნარის გაძლიერების გარეშე, ჩამოთვლილი გავლენები და მათგან მომდინარე ზიანი მნიშვნელოვნად გაიზრდება[1].

კავკასიის ეკორეგიონი და საქართველო კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის თავისებურებებს ავლენს. კავკასია მთის ეკოსისტემას წარმოადგენს, რომელიც მდიდარია ბიოლოგიური და კულტურული მრავალფეროვნებით. რეგიონში მნიშვნელოვან როლს მყინვარები თამაშობს, რომელიც განსაკუთრებით მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ. 2000-2020 წლების განმავლობაში კავკასიის მყინვარების ყინულის საფარი დაახლოებით 23%-ით შემცირდა[2]. მყინვარების დნობა კი წყლის რესურსების შემცირებას გამოიწვევს და გაზრდის წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკებს,[3] ამიტომაც საჭიროა ამ გამოწვევებზე აქტიური და სისტემური მუშაობა. 2023 წელს, შოვში მომხდარმა კატასტროფამ 33 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა[4]. 2015 წელს, თბილისში, წყალდიდობის მიერ მიყენებულმა ფიზიკურმა ზიანმა დაახლოებით 55 მილიონი ლარი იყო, ხოლო ფინანსურში დანაკარგებმა 10 მილიონ ლარს მიაღწია,. აღდგენის საჭიროებები კი დაახლოებით 268 მილიონი ლარით შეფასდა[5]. ამ მაგალითებიდან ნათელია, თუ რატომ არის მნისვნელოვანი დროული და სწორი ადაპტაციის ღონისძიებები ქვეყანაში და როგორ შეამცირებდა ის ფინანსურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და კულტურულ დანაკარგებს..

---

[1] Intergovernmental Panel on Climate Change. (2023). Sixth assessment report cycle. https://www.ipcc.ch/report/sixth-assessment-report-cycle/

[2] Tielidze, L. G., Nosenko, G. A., Khromova, T. E., and Paul, F.(2022) Strong acceleration of glacier area loss in the Greater Caucasus between 2000 and 2020, The Cryosphere, 16, 489–504, https://doi.org/10.5194/tc-16-489-2022. Available at https://tc.copernicus.org/articles/16/489/2022/

[3] United Nations Environment Programme (UNEP). (2024). Caucasus Environment Outlook: Second Edition. UNEP. https://www.unep.org/resources/report/caucasus-environment-outlook-second-edition

[4] Radio Tavisupleba. (2024). შოვი – რაჭის გამქრალი კურორტი. https://www.radiotavisupleba.ge/a/შოვი-რაჭის-გამქრალი-კურორტი/33059145.html

[5] World Bank. (2017). Disaster Risk Finance Country Diagnostic: Georgia. https://documents1.worldbank.org/curated/en/929561510329276686/pdf/121242-WP-P155421-PUBLIC-32p-DRFIGeorgiaDiagnosticWeb.pdf



კავკასიის ეკორეგიონში მაქსიმალური ტემპერატურის ტენდენციები, 1991–2020 წლებში. (წყარო: გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა[6])

პარიზის შეთანხმების მე-7 მუხლის განსახორციელებლად, საერთაშორისო დონეზე, კლიმატის კრიზისის მიმართ ადაპტაციასთან მიმართებაში სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს. ამ მუხლის ძირითადი მიზანია შეთანხმების ხელმომწერ მხარეთა ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება, მოწყვლადობის შემცირება და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ მდგრადობის გაზრდა[7]. შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც შეთანხმების ხელმომწერი განვითარებადი ქვეყნისთვის, პრიორიტეტული უნდა იყოს ამ მიმართულებებით მუშაობა. 2022 წლის ნოტრ დამის გლობალური ადაპტაციის ინიციატივის მსოფლიო (ND-GAIN) ინდექსის მიხედვით, საქართველო 183 ქვეყანას შორის, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის მხრივ 79-ე ადგილზეა[8]. ბოლო წლებში ქვეყანაში კატასტროფების გახშირება და გაზრდილი ზიანი მიუთითებს, არამხოლოდ მზადყოფნის, მედეგობის და

[6] წყარო 3.
[7] United Nations Framework Convention on Climate Change. (2015). The Paris Agreement. United Nations. https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement
[8] Notre Dame Global Adaptation Initiative. (n.d.). Country Index Rankings. University of Notre Dame. https://gain.nd.edu/our-work/country-index/rankings/

პასუხისმგებელი სისტემების გაძლიერების კრიტიკულ საჭიროებაზე, არამედ საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზეც რესურსების და ცოდნის გაზიარების მიმართულებით.

საქართველოსთვის რელევანტური საერთაშორისო პროცესები

მსოფლიოში ადაპტაციის მიმართულებით რამდენიმე მთავარი პროცესი მიმდინარეობს, სადაც ჩართულნი არიან კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონცენციის ხელმომწერი სახელმწიფოები, აკადემიური დაწესებულებები, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. შესაბამისად, საქართველოს საჭიროებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ჩართულობა, აქტიური მონაწილეობა და საქართველოს საჭიროებების გამოკვეთა.

1. **გლობალური მიზანი ადაპტაციისთვის** (Global Goal on Adaptation - GGA) პარიზის შეთანხმების მე-7 მუხლის ფარგლებში ჩამოყალიბდა. ადაპტაცია დიდწილად ადგილობრივ კონტექსტზეა დამოკიდებული, ამიტომ მისი პროგრესის გაზომვა გლობალურ დონეზე ჯერ კიდევ რთულია. ამ გამოწვევის საპასუხოდ, ქვეყნებმა მხარეთა 26-ე კონფერენციაზე (COP26) გლაზგო-შარმ ელ-შეიხის სამუშაო პროგრამა წამოიწყეს, რათა განესაზღვრად ადაპტაციის გლობალური მიზნები და ჩარჩო. 28-ე კონფერენციაზე შემუშავდა GGA-ის ჩარჩო, რაც საერთო გლობალურ მიზნებს აწესებს და მოიცავს ადაპტაციის ოთხ ძირითად მიმართულებას: რისკების შეფასება, სტრატეგიული დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი. შესაბამისად, 2030 წლისთვის ყველა ქვეყანამ უნდა ჩაატაროს კლიმატური რისკების შეფასება, შეიმუშაოს ეროვნული ადაპტაციის გეგმები და დააფუძნოს მონიტორინგის სისტემები, რაც საქართველოსაც ეხება. COP28-ზე ინიცირებული UAE-Belém-ის ორწლიანი სამუშაო პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს უნდა შემუშავდეს GGA-ის მკაფიო და გაზომვადი სამიზნეები, ასევე, მათი ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფის მექანიზმები[9,10].

2. **კლიმატის ფინანსების ახალი კოლექტიური რაოდენობრივი მიზანი** (New Collective Quantified Goal - NCQG) კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გლობალური ღონისძიებების კრიტიკული კომპონენტია. განვითარებულმა ქვეყნებმა 2009 წელს, კოპენჰაგენის შეთანხმების ფარგლებში, წლიურად 100 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზების ვალდებულება აიღეს. NCQG ამ ვალდებულების გაზრდას ისახავს მიზნად, რომელიც იქნება უფრო ამბიციური,

[9] World Resources Institute. (n.d.). The Global Goal on Adaptation, explained. https://www.wri.org/insights/global-goal-on-adaptation-explained
[10] Global Center on Adaptation. (n.d.). Adapting to the inevitable: The Global Goal on Adaptation and the urgency of action. https://gca.org/adapting-to-the-inevitable-the-global-goal-on-adaptation-and-the-urgency-of-action/

საჭიროებებზე ორიენტირებული და შექმნის გამჭვირვალე ფინანსურ ჩარჩოს. მოლაპარაკებები NCQG-ის შესახებ COP26-ზე გლაზგოში დაიწყო. მოლაპარაკებების დღის წესრიგში ასევე დადგა ამ ფინანსებზე სამართლიანი წვდომის უზრუნველყოფისა და მათი პროგნოზირებადობის გაძლიერების საკითხებიც. გრძელვადიანი მუშაობის შედეგად, 2024 წლის მხარეთა კონფერენციაზე, ე.წ. "ბაქოს კლიმატური ერთიანობის პაქტის" ფარგლებში, ეს ფინანსური სამიზნე მაჩვენებელი განახლდა. შეთანხმების მიხედვით, განვითარებულმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, რომ 2035 წლისთვის ყოველწლიურად მინიმუმ 300 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება უნდა შეძლონ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად. თუმცა, წუხილები თანხის საკმარისობის, ხელმისაწვდომობისა და განაწილების მექანიზმების ეფექტურობის შესახებ კვლავ აქტუალურია[11,12,13]. ქვეყანაში მედეგობის გასაძლიერებლად საქართველოც მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას იღებს გლობალური ფონდებიდან, როგორებიცაა ადაპტაციის ფონდი (Adaptation Fund), მწვანე კლიმატის ფონდი (Green Climate Fund) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (Global Environment Facility). ქვეყანაში მასშტაბური ღონისძიებების გასატარებლად, სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გაზრდის გარდა, აუცილებელია ამ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდაც.

3. **დანაკარგი და ზარალი** (Loss & Damage) – L&D-ის კონცეფცია გულისხმობს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შეუქცევად ზიანს, რომელიც ადაპტაციის შესაძლებლობებს არ ექვემდებარება. აქ მოიაზრება როგორც ეკონომიკური ზარალი, მაგალითად, ინფრასტრუქტურის დაზიანება, ისეარაეკონომიკურ დანაკარგები, როგორიცაა ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვა. საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების დიდი ნაწილი და მათი ზიანი ამ კატეგორიაში შეგვიძლია განივიხლოთ.

მართალია L&D-თან დაკავშირებით, 2013 წელს ვარშავის საერთაშორისო მექანიზმი შეიქმნა 2015 წელს კი ეს კონცეფცია პარიზის შეთანხმების მე-8 მუხლში აისახა, თუმცა, L&D-ზე დაფინანსების სისტემის უზრუნველყოფასა და მცირედი ფინანსური პასუხისმგებლობის აღებასაც კი წლები დასჭირდა[14]. 2022 წელს, მხარეთა 27-ე შეთანხმების ფარგლებში შეიქმნა დანაკარგისა და ზარალის ფონდი. ამ დროისთვის ფონდისთვის 700 მილიონ აშშ დოლარამდე ფინანსური რესურსია მობილიზებული და მიზანია, რომ მისი გაცემა 2025 წელს უნდა დაიწყოს. ასევე, განისაზღვრა ოთხწლიანი გარდამავალი პერიოდი და ამ პერიოდში თანხის ადმინისტრირება მსოფლიო ბანკს

[11] United Nations Framework Convention on Climate Change. (2024). COP29: UN climate conference agrees to triple finance to developing countries, protecting lives and livelihoods. https://unfccc.int/news/cop29-un-climate-conference-agrees-to-triple-finance-to-developing-countries-protecting-lives-and

[12] Organisation for Economic Co-operation and Development. (2024). The new collective quantified goal on climate finance. https://www.oecd.org/en/publications/the-new-collective-quantified-goal-on-climate-finance_7b28309b-en.html

[13] World Resources Institute. (n.d.). NCQG key elements. https://www.wri.org/insights/ncqg-key-elements

[14] World Resources Institute. (n.d.). Loss and damage from climate change. https://www.wri.org/insights/loss-damage-climate-change

დაევალა[15]. თუმცა, განვითარებადი ქვეყნები მიუთითებენ, რომ ყოველწლიურად სულ მცირე 1.3 ტრილიონი აშშ დოლარია საჭირო კლიმატისგან გამოწვეული ზარალის აღმოსაფხვრელად. კვლავ გრძელდება დისკუსიები ფონდის სამართლიანი და ეფექტიანი განაწილების მექანიზმებზე, რაც მოწყვლად ქვეყნებს დროულ და ხელმისაწვდომ ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფს; ასევე, განიხილება ფონდის გრძელვადიანი მდგრადობისა და ფინანსური ვალდებულებების ამბიციურობის გაზრდის საკითხები[16].

4. **კატასტროფების რისკის შემცირების მიზნით სენდის ჩარჩო კონცეფცია (**Sendai Framework for Disaster Risk Reduction) წარმოადგენს გლობალურ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფების რისკების და მათი ზიანის შემცირებას, ასევე, მედეგობის გაზრდას და ახალი რისკების თავიდან აცილებას 2015-2030 წლებში. მთავარ მიზნებს შორის დასახულია ადრეული გაფრთხილების სისტემების, კატასტროფების რისკის მართვისა და ამ მიმართულებით განათლების გაძლიერება, ასევე კატასტროფებით გამოწვეული სხვადასხვა ტიპის ზიანის შემცირება. ჩარჩო კონცეფციისთვის მნიშველოვანია კატასტროფების რისკებისა და პროცესების მართვაში ინკლუზიური და სამართლიანი მიდგომების გატარება, განსაკუთრებით გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების შემუშავება[17].

ჩარჩო კონვენციის პრინციპების შესრულებაში ბევრი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის, საქართველოც და თავის მხრივ, ქვეყანამ მისი შესრულების ნებაყოფლობითი ანგარიშიც მოამზადა[18]. თუმცა, გლობალური მასშტაბით, ამ მიმართულებით ქვეყნების მიღწევები განსხვავდება, რასაც გარკვეულწილად შესაძლებლობებისა და რესურსების უთანასწორობა განაპირობებს. 2023 წელს გლობალური პლატფორმის კატასტროფების რისკის შემცირების ფარგლებში ხაზი გაესვა ამ მიმართულებით საჭიროა უფრო დიდი ფინანსური რესურსების ინვესტირებისა და გაძალიერებული მხარდაჭერის საჭიროებას მოწყვლადი ჯგუფებისთვის[19]. საქართველოსთვისაც კატასტროფების რისკის შემცირება და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მიმართული სტრატეგიების განხორციელება კვლავ დიდ გამოწვევად რჩება.

[15] World Bank. (n.d.). Fund for Loss and Damage (FLD). https://fiftrustee.worldbank.org/en/about/unit/dfi/fiftrustee/fund-detail/frld

[16] Global Witness. (n.d.). How does the Loss and Damage Fund work for climate justice? https://globalwitness.org/en/campaigns/fossil-fuels/how-does-the-loss-and-damage-fund-work-for-climate-justice/

[17] United Nations Office for Disaster Risk Reduction. (2015). Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015–2030. https://www.undrr.org/publication/sendai-framework-disaster-risk-reduction-2015-2030

[18] United Nations Office for Disaster Risk Reduction. (2023). Voluntary National Report – Georgia, Midterm review of the implementation of the Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015–2030. https://sendaiframework-mtr.undrr.org/media/84421/download

[19] United Nations Office for Disaster Risk Reduction. (2022). About the Global Platform for Disaster Risk Reduction 2022. https://globalplatform.undrr.org/2022/about-gp.html

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მნიშვნელობა და მისი შემუშავება

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ეროვნულ დონეზე სექტორული პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილი უნდა იყოს. ეროვნულ დონეზე ადაპტაციის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობისთვის ქვეყნებისთვის მთავარი ინსტრუმენტია - ადაპტაციის ეროვნული გეგმა (National Adaptation Plan). ამ დოკუმენტის მომზადების მიზანია, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ მოწყვლადობის შემცირება ადაპტაციის უნარისა და მედეგობის გაძლიერების გზით. თუმცა, აუცილებელია, რომ სამოქმედო გეგმით დასახული პრიორიტეტები ინტეგრირდეს მართვის სხვადასხვა დონეზე, ყველა შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და აქტივობის დაგეგმვის პროცესში[20]. საქართველოში NAP-ი ჯერ მომზადებული არ არის, რაც განსაზღვრავდა ქვეყნის მოკლევადიან და გრძელვადიან პრიორიტეტებს, ასევე მიმართულებებსა და კონკრეტულ აქტივობებს ქვეყანაში მედეგობის გასაძლიერებლად. NAP-ის მომზადება მწვანე კლიმატის ფონდის ფინანსური და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით ახლა მიმდინარეობს[21]. მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტმა შეძლოს, დროულად და ადეკვატურად უპასუხოს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციამ გამოქვეყნა NAP-ის მოსამზადებლად ტექნიკური სახელმძღვანელო, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხსა და პროცესზე ამახვილებს ყურადღებას[22]. აღნიშნულია, რომ ადაპტაციის ეროვნული გეგმის სტრუქტურა და ფორმატი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ხაზგასმულია, რომ NAP შემუშავებული იყოს მოწყვლადობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და პრიორიტეტი მიენიჭოს ადგილობრივ საჭიროებებს.

NAP-ის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, მოიაზრება: დაინტერესებული მხარეების შინაარსობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა, მრავალდარგობრივი მიდგომის გამოყენება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მარგინალიზებული ჯგუფების (მათ შორის ქალების) განსაკუთრებული გათვალისწინება, გარემოს დაცვისა და მართვის კარგი პრაქტიკის გამოყენება, ხარჯთეფექტიანობა და პროცედურების მოქნილობა.

NAP-ის მეშვეობით უნდა გაუმჯობესდეს ადაპტაციისა და განვითარების დაგეგმვის კოორდინაცია, ადაპტაციის საჭიროებები, ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, ღონისძიებების მონიტორინგი, საჭიროებების რეგულარული გადახედვა და სამიზნეების ეტაპობრივი განახლება. საკმარისი მონაცემების არარსებობა ბევრ ქვეყანაში პრობლემურია, თუმცა, NAP-ის განხორციელების პროცესმა საჭირო მონაცემებისა და ცოდნის დაგროვებასაც უნდა შეუწყოს ხელი. ქვემოთ მოცემულია NAP-

[20] Decision 5/Cp.17, paragraph 1
[21] Green Climate Fund. (n.d.). Building capacity to advance the national adaptation plan process in Georgia. Green Climate Fund. https://www.greenclimate.fund/document/building-capacity-advance-national-adaptation-plan-process-georgia
[22] United Nations Framework Convention on Climate Change. (2012). National adaptation plans: Technical guidelines. UNFCCC. https://unfccc.int/sites/default/files/resource/NAP_technical_guidelines_EN.pdf

ის მომზადებისა და განხორციელების ოთხი მთავარი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი:

ადაპტაციის ეროვნული გეგმების ფორმულირებისა და განხორციელების მთავარი კომპონენტები[23]

I. **საფუძვლის შექმნა და ხარვეზების ანალიზი**	II. **მოსამზადებელი პროცესი**
• კლიმატის ცვლილების ზემოქმედების, მოწყვლადობისა და ადაპტაციის შესახებ არსებული ინფორმაციის იდენტიფიცირება; • NAP-ის პროცესისთვის ხელსაყრელი გარემოებების, ხარვეზებისა და საჭიროებების შეფასება; • საჭიროებებისა და მოწყვლადობის სრულყოფილი ანალიზი.	• კლიმატის ცვლილების მიმდინარე და მომავალი სცენარების მოდელირება და ანალიზი; • მოწყვლადობის შეფასება და ადაპტაციის შესაძლებლობების იდენტიფიცირება; • ადაპტაციის გზების ანალიზი და გეგმის შედგენა; • ადაპტაციის ინტეგრირება ეროვნული და ადგილობრივი განვითარების და სექტორულ გეგმებში.
IV. ანგარიშგება, მონიტორინგი და გადახედვა	**III. განხორციელების სტრატეგიები**
• NAP-ის განხორციელების პროცესის მონიტორინგი; • მისი განხორციელების პროცესის გადახედვა პროგრესის, ეფექტიანობისა და ხარვეზების შეფასების მიზნით; • გეგმის ეტაპობრივი განახლება; • NAP-ის პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლება; • ანგარიშგება მისი პროგრესისა და ეფექტიანობის შესახებ.	• ეროვნული დაგეგმვის პროცესში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პრიორიტეტიზაცია; • ეროვნული ადაპტაციის განხორციელების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება; • ადაპტაციის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის რესურსებისა და უნარების გაძლიერება; • რეგიონულ დონეზე კოორდინაცია და მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებთან სინერგიის ხელშეწყობა.

ადაპტაციის დაგეგმვისთვის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებები და მიდგომები

საქართველოს მომზადებული აქვს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და მისი 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, თუმცა ეს ორივე დოკუმენტი სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების გზებს მოიცავს. ქვეყანას ადაპტაციის მიმართულებით მოქმედი პოლიტიკა და სტრატეგიული დოკუმენტი ჯერ არ აქვს. დასრულების ფაზაშია განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის

[23] წყარო 22.

(Nationally Determined Contribution – NDC) დოკუმენტის მომზადების პროცესი, რომელშიც ადაპტაციის მიმართულებაც გარკვეულწილად დაიფარება. თუმცა, დოკუმენტი ჯერ საჯარო არ არის. 2021 წელს დამტკიცებული, წინა NDC-ის დოკუმენტის მიხედვით, "საქართველო იღებს ვალდებულებას, შეისწავლოს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის შესაძლებლობა ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების მობილიზაციის გზით იმ სექტორებისთვის, რომლებიც კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების მიმართ განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან."[24] მოწყვლად სექტორებად დასახელებულია: სოფლის მეურნეობა, სატყეო სექტორი, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რესურსები, მთის ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება. ხოლო მოწყვლად ჯგუფებად გამოყოფილია ქალები, ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, ეკომიგრანტები და საფრთხის არეალში მცხოვრები ადამიანები. ამას გარდა, დოკუმენტში ნახსენებია, რომ ხელი შეეწყობა ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც კლიმატის ცვლილების შედეგად ზარალისა და ზიანის შემცირებაზე იქნება მიმართული.

ქვემოთ მოცემული ქვეთავები წარმოადგენს მიმართულებებსა და საჭიროებებს, რომელთა ანალიზი და ინტეგრირება აუცილებელი იქნება NAP-ის მომზადების პროცესში:

ადაპტაციის მართვის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივ დონეზე მართული ღონისძიებების პრიორიტეტულობა

ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებისთვის ერთიანი, უნივერსალური მიდგომების გამოყენება არაეფექტურია. საჭიროა ადგილზე მორგებული(ქვემოდან ზემოთ) ღონისძიებებისა და გადაწყვეტილებების დაგეგმვა. საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობა და მზაობა განსხვავდება რეგიონებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, ქვეყანაში საშუალო ტემპერატურა 0.47 გრადუსი ცელსიუსით არის მომატებული, თუმცა რეგიონების მიხედვით ეს ციფრი განსხვავებულია. მყინვარების გაზრდილი დნობის ტემპის შედეგად მომატებული წყლადიდობები მთის რეგიონებს ბევრი პრობლემის წინაშე აყენებს. ამის პარალელურად, დაბლობებში მცირდება ხელმისაწვდომობა წყალზე, რაც ართულებს სოფლის მეურნეობის წარმოებას[25]. აუცილებელია, ადაპტაციის ღონისძიებები ადგილობრივ საჭიროებებზე, კლიმატურ პირობებსა და სოციალურ-კულტურულ კონტექსტზე იყოს მორგებული.

2022 წელს საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს 8 მთავარი პრინციპი, რომელიც აუცილებელია წარმატებული ადაპტაციის განსახორციელებლად და ისინი მოიცავენ

[24] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (n.d.). კლიმატის ცვლილების ეროვნული დოკუმენტები. MEPA. https://mepa.gov.ge/en/PublicInformation/32027

[25] Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2019). Georgia's Fourth National Communication to the UNFCCC. MEPA. https://unfccc.int/sites/default/files/resource/Georgia_4NC.pdf

ადგილობრივ დონეზე მართული (locally-led adaptation) ღონისძიებების პრინციპებს. მათ შორისაა: გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივ დონეზე, თანასწორი და ინკლუზიური ადგილობრივი მმართველობა, ადგილობრივი უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, სტრუქტურული უთანასწორობის აღმოფხვრა, თანამშრომლობა, ცოდნის გაზიარება და ა.შ.[26]

საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების საკითხების მართვა ცენტრალიზებულია. თუმცა, ადგილობრივი თემების მედეგობის გასაძლიერებლად, აუცილებელია ამ მართვის სისტემების დეცენტრალიზაცია. 2024 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების მზაობის შესწავლის კვლევის მიხედვით, ყოვლისმომცველი კლიმატის ცვლილების კანონმდებლობისა და სექტორული რეგულაციების არარსებობა პრობლემურია და დეცენტრალიზაციას აფერხებს რომელსაცუნდა განესაზღვრა მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების მართვაში. ეს ვალდებულებები მკაფიოდ არც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით არის დარეგულირებული. მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვა დიდწილად ინდივიდუალური თანამშრომლების ინიციატივაზეა დამოკიდებული. მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საკმარისი რესურსები, კომპეტენცია და ინსტიტუციური მექანიზმები, რაც დაეხმარებოდათ კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასებაში და კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების გატარებაში[27]. შესაბამისად, ამ პრობლემებზე მუშაობა, ისევე როგორც ინკლუზიური მმართველობის, ადგილობრივი თემების პოლიტიკური მონაწილეობისა და ადგილობრივი მედეგობის გაზრდაზე ზრუნვა აუცილებელია.

კატასტროფის რისკების შემცირება და დანაკარგისა და ზიანის პრობლემებზე მუშაობა

ადაპტაციის დაგეგმვა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა და მის მიმართ მოწყვლადობის შესახებ ზუსტ მონაცემებსა და დეტალურ ცოდნას მოითხოვს. ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის, შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმარისი სამეცნიერო ექსპერტიზა, მონაცემები და მათი მუდმივი შეგროვების სისტემები შეზღუდულია. საჭიროა, საქართველომ მონაცემების შეგროვების მიმართულებით აქტიურად იმუშაოს, თუმცა, ამ ეტაპზე ქვეყანაში ჩატარებული კვლევები და ეროვნული შეტყობინებები უკვე იძლევა ბაზისს ქვეყანაში არსებული საჭიროებების მიმართულებების განსასაზღვრად. საჭიროა დანაკარგისა და ზიანის მეთოდოლოგიის შემუშავებაც, რასაც ქვეყანაში კატასტროფების გაზრდილი რაოდენობა და მასშტაბები ადასტურებს. ეკომიგრაციის მართვის სისტემური ჩავარდნები ნათლად აჩვენებს ადაპტაციის და L&D-ის საკითხების სირთულეებს ქვეყანაში.

[26] World Resources Institute. (n.d.). Principles for locally led adaptation. WRI. https://www.wri.org/initiatives/locally-led-adaptation/principles-locally-led-adaptation
[27] Green Alternative. (2024). Climate change and local government in Georgia. Green Alternative. https://greenalt.org/app/uploads/2024/10/Climate-Change-and-Local-Government-in-Georgia.pdf

კრიზისის ეროვნული მართვის სისტემის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში არ არსებობს კატასტროფების აღრიცხვისა და ზემოქმედების შეფასების ერთიანი მონაცემთა შეგროვების სისტემა და მეთოდოლოგია. ანგარიშის მიხედვით, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის გაძლიერება, სტიქიების შესახებ ინფორმაციის უკეთესი მართვა, ინკლუზიური დაგეგმვის ხელშეწყობა და რისკების მართვაში დაინტერესებული მხარეების უფრო აქტიური ჩართულობა[28]. ეს მნიშვნელოვანი საბაზისო საჭიროებებია, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში დროული და ეფექტური რეაგირება კატასტროფებზე, ასევე ზიანის აცილება-შემცირება.

არსებული სისტემური პრობლემების შედეგად, ქვეყანაში მაღალია კატასტროფებით დაზარალებული ადამიანებისა და ოჯახების რიცხვი, რომლებიც სახელმწიფოს დახმარებას საჭიროებენ. ეს საკითხი აუცილებელია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დოკუმენტებმა დაფარონ. მაგალითად, ეს ადამიანები, ე.წ. ეკომიგრანტები საქართველოს კანონმდებლობით იძულებით გადაადგილებულ პირებად არ ითვლებიან, ქვეყანაში არ არსებობს მათი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. ასევე, არ არსებობს დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების სტანდარტიზებული სისტემა[29].

საქართველოს კატასტროფების რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ განახლებულა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, „სამოქმედო გეგმა არასრულყოფილია, ხოლო გაწერილი ღონისძიებების მხოლოდ მცირე ნაწილია (16%) შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავადებული და შეუსრულებელია“[30]. აუცილებელია, ამ სტრატეგიის განახლება, მუშაობის გაძლიერება კატასტროფის რისკების პრევენციის მიმართულებით და მისი მართვის საკითხების დაკავშირება/დაქვემდებარება ადაპტაციის ეროვნულ პოლიტიკასთან.

[28] National Security Council of Georgia. (2023). National crisis management in Georgia. Interagency publication. https://nsc.gov.ge/assets/pdf/63ce48a3e9ce0.pdf

[29] ქალები საერთო მომავლისთვის – საქართველო. (2024). კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფები და ქალები: ეკომიგრაციის პრევენციისა და მართვის სისტემური პრობლემები, https://www.wecf.ge/portfolio/ecomigration_research/

[30] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, (2020). წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი. ხელმისაწვდომია: https://sao.ge/Uploads/2020/6/წყალდიდობით_გამოწვეული_საგანგებო_სიტუაციების_მართვის_პრევენციის_მზადყოფნის_ეფექტიანობის_აუდიტის_ანგარიში.pdf

2023 წლის სექტემბერში, გურიაში, სოფელ ხორეთში მომხდარი მეწყრის შედეგად დაზიანებული სახლი და დაზარალებული ოჯახი
(ფოტო: მწვანე ალტერნატივა/თაკო რობაქიძე)

ბუნების დაცვის გაძლიერება, როგორც ადაპტაციის განუყოფელი პროცესი

ბუნების დაცვა და აღდგენა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიაა. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მიხედვით, ეკოსისტემები ბუნებრივი ბარიერების ფუნქციას ასრულებენ სხვადასხვა ექსტრემალური ამინდის დროს, იცავენ დასახლებებს, სახლებს და სხვა ინფრასტრუქტურას, მოსავალს და ოჯახების შემოსავლის წყაროებს. ტყეები, ჭარბტენიანი ტერიტორიები და სხვა ეკოსისტემები ხელს უწყობენ გვალვის შერბილებას, ტყის ხანძრების აცილებას, თბური ტალღების შემცირებას, წყალდიდობისგან დაცვას, ეროზიის პრევენციას, გაუდაბნოების გაფართოებისა და ქარიშხლების წინააღმდეგ ბრძოლას[31]. შესაბამისად, გარემოს დეგრადაცია ეკოსისტემების ამ ფუნქციების დაქვეითებას იწვევს, რაც ზრდის კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზიანს. საქართველოში გვაქვს მაგალითები, როდესაც ადამიანების გარემოში უხეში ჩარევის გამო კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა სტიქიურმა პროცესმა ფატალური შედეგები მოიტანა. მაგალითად, 2014 წელს მყინვარების დნობის შედეგად დიდი მასის მოწყვეტის გამო, დარიალის ხეობაში მდინარეების თერგისა და დევდორაკის შეერთების უბანზე მოხდა კატასტროფა,

[31] United Nations Environment Programme. (2021). Six ways nature can protect us from climate change. UNEP. https://www.unep.org/news-and-stories/story/six-ways-nature-can-protect-us-climate-change

რომელმაც ხუთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს ადამიანები კი დარიალი ჰესის საპროექტო ტერიტორიასა და მის ტექნიკურ გვირაბში იმყოფებოდნენ[32].

საქართველოში წიაღისეულის მოპოვება სერიოზულად აზიანებს, როგორც მდინარისა და სანაპიროს ჰაბიტატებს, ასევე მათ მიმდებარედ მცხოვრებ ადგილობრივ თემებს. ინფრასტრუქტურის განადგურება, მიწის დაკარგვა, მიწისქვეშა წყლების მოცულობისა და ხარისხის შემცირება, ა.შ.[33]. ეროვნული აუდიტის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში ასევე პრობლემურია მდინარეების სანაპიროებზე ჭარბი ურბანიზაციის მიმდინარე ტენდენცია. კანონით აკრძალულია მდინარის წყალდაცვით ზონაში მშენებლობები. სანაპირო ზონების ათვისება უმეტეს შემთხვევაში ნებართვების გარეშე ხორციელდება, რაც კატასტროფების რისკებსა და მის ქვეშ მყოფი ობიექტების რაოდენობას ზრდის[34]. ამავე ანგარიშის მიხედვით, სამწუხაროდ, მაგალითად, ჭალის ტყეების მოვლა-აღდგენა წყალდიდობით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმაში არ იყო დანახული, როგორც წყალდიდობის პრევენციული ღონისძიება. მნიშვნელოვანია, რომ ადაპტაციის პოლიტიკამ ეს ხარვეზი დაინახოს და დაისახოს გზები გარემოს დაცვისა და აღდგენის გასაძლიერებლად, როგორც ადაპტაციის განუყოფელი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბუნებაზე დაფუძნებული ადაპტაციის მიდგომების დამკვიდრება

მნიშვნელოვანია, ადაპტაციის ღონისძიებები გატარდეს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NbS) გზით, რაც გულისხმობს ბუნებასთან თანამშრომლობას და მედეგობის გაზრდას ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ბუნებრივი გამძლეობის გამოყენებით. NbS-ის მაგალითებია ეკოსისტემების აღდგენა, მწვანე ინფრასტრუქტურა, ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა, მდგრადი მიწათსარგებლობა, ა.შ[35].

საქართველო კავკასიის ეკორეგიონის, ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი ცხელი წერტილის ნაწილია. ეკორეგიონი მრავალფეროვანი ლანდშაფტებითა და ეკოსისტემებით გამოირჩევა, სადაც ბევრი ენდემური სახეობა გვხვდება[36]. ეს სახეობები კი მოწყვლადია კლიმატის და ჰაბიტატის ცვლილების მიმართ[37]. NbS ღონისძიებების გატარება ხელს უწყობს ეკოსისტემების მდგრადობის ზრდას, ჰაბიტატების დაცვას და აღდგენას. შესაბამისად, NbS ხელს უწყობს როგორც კლიმატის სტაბილიზაციას და

[32] რეხვიაშვილი ჯ., 2014. მეწყერი დარიალის ხეობაში. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/meckeri-darialis-kheobashi/26543484.html
[33] სვანიძე, ი., და ხვედელიძე, მ. (2021), საშენი მასალების მოპოვება საქართველოში: პრაქტიკის ანალიზი, მწვანე ალტერნატივა
[34] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020. წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვის (პრევენციის, მზადყოფნის) ეფექტიანობის აუდიტი.
[35] Sowińska-Świerkosz B., García J., (2022). What are Nature-based solutions (NBS)? Setting core ideas for concept clarification. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2772411522000015
[36] Zazanashvili, N., Garforth, M. and Bitsadze, M., eds. (2020). Ecoregional Conservation Plan for the Caucasus, 2020 Edition: Supplementary Reports. Tbilisi: WWF, KfW.
[37] Caucasus Nature Fund (2021). Caucasus Ecoregion. https://www.caucasus-naturefund.org/ecoregion/.

ადგილობრივი თემების უსაფრთხოებისა და მედეგობის გაზრდას, ისე ბიომრავალფეროვნების დაცვას[38]. ამიტომ, მნიშვნელოვანია საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიებისა და ადაპტაციის მიდგომებს შორის სინერგიისა და კოორდინაციის უზრუნველყოფას.

საქართველოს კლიმატის ცვლილების (შერბილების ნაწილის) სტრატეგია 2030 აღიარებს ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობას დასახული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, სტრატეგიაში ხაზგასმულია ტყეებისა და დაცული ტერიტორიებისა როლი სათბურის აირების ემისიების შემცირებასა და მდგრადობის გაუმჯობესებაში. თუმცა, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში რაოდენობრივი მიზნები და შესაბამისი ღონისძიებები ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენის მიმართულებით დეტალურად გაწერილი არ არის. NbS-ის ხელშესაწყობად და ადაპტაციის გასაძლიერებლად, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა და მისი სტაბილური ხელშეწყობა-განვითარება[39].

ადაპტაციის პოლიტიკის გენდერული მეინსტრიმინგი

საქართველოს კლიმატის პოლიტიკა ქალებს კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლად ჯგუფად ასახელებს, თუმცა სამოქმედო გეგმები გენდერულად ნეიტრალურია[40]. ანუ, ეროვნულ დოკუმენტებში არ გვხვდება ქალების გაძლიერებაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებები.

2023 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ვლინდება, რომ ქვეყანაში არსებული სტრუქტურული უთანასწორობა, როგორიცაა უთანასწორობა დასაქმებაში, რესურსებისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობაში, გავლენას ახდენს ქალების კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობაზე. მაგალითად, სტაბილური შემოსავალი ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მედეგობისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან გამკლავების უნარის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. თუმცა, საქართველოში ქალების მნიშვნელოვან რაოდენობას არ აქვს სტაბილური შემოსავალი. განსაკუთრებით სასოფლო ტიპის და პერიფერიულ დასახლებებში მცხოვრები ქალებისთვის სოციალურ სერვისებზე შეზღუდული წვდომა (სამედიცინო სერვისებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ასევე წყალზე) კლიმატის ცვლილებასთან მოწყვლადობას ზრდის[41].

[38] International Institute for Sustainable Development. (n.d.). Nature-Based Solutions for Climate Adaptation (infographic): Climate Adaptation and Protected Areas Initiative. https://www.iisd.org/publications/guide/capa-nbs-climate-adaptation-infographic

[39] Green Alternative. (2024). Climate adaptation in Georgia: Empower the Protection of Ecosystems and Biodiversity. Green Alternative. https://greenalt.org/app/uploads/2024/06/Climate-Adaptation-in-Georgia_eng.pdf

[40] მოსიაშვილი ა., ქათამაძე ა., (2022). გენდერულად მგრძნობიარე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირების პოლიტიკა საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://5df15acc-e670-469d-ac46-e50bff24ccd8.filesusr.com/ugd/f7d5ef_c0b228291d064e8393b72c7329826110.pdf?fbclid=IwAR2SM4eL8Sm5m4puLkXr5LIqcK8IR3z_Pfh0u2KGdlsJZxDpE-FLg9qDpok

[41] Westminster Foundation for Democracy. (2023). ქაალებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება საქართველოში. WFD.

მნიშვნელოვანია ქალების ჯგუფების გამოყოფა თითოეული მოწყვლადობის კატეგორიის ანალიზისას და მათ საჭიროებებზე მორგებული მუშაობა ადაპტაციის მიმართულებით, ისევე როგორც ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათთან თანამშრომლობა და მათი ცოდნის ასახვა ადაპტაციის ეროვნულ დოკუმენტებში. ქალების ჯგუფების მონაწილეობის გარეშე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე ადაპტაციის ღონისძიებების გატარება შეუძლებელია.

დასკვნა

ბოლო წლებში ქვეყანაში გახშირებული კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისა და ზიანის ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის ღონისძიებების სისტემური დაგეგმვა. ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავებას კი ბევრი სისტემური ხარვეზის დანახვა და მნიშვნელოვანი ცვლილებების დაწყება შეუძლია.

აუცილებელია, რომ NAP-ის მომზადების პროცესი იყოს მონაწილეობითი და მასში გათვალისწინებული იყოს როგორც ეროვნული თავისებებურებები, ისე საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები.

ეროვნულ დონეზე დაგეგემვის პარალელურად, აუცილებელია, ადგილობრივ დონეზე მუშაობის დაწყება/გაძლიერება და გადაწყვეტილებების დეცენტრალიზაცია. განსაკუთრებით პრობლემურია კატასტროფების რისკების შემცირება-პრევენციაზე მიმართული ღონისძიებები. საჭიროა, ქვეყანამ მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსი მიმართოს ამ მიმართულებაზე..

ამასთან აუცილებელია, ქვეყანამ დაიწყოს დანაკარგისა და ზარალის შეფასების მეთოდოლოგიასა და ზიანის შემცირებაზე სისტემური მუშაობა. განსაზღრული ღონისძიებები უნდა იყოს გენდერულად მგრძნობიარე და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული. მნიშვნელოვანია, ადაპტაციაზე მუშაობისას, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების დანერგვა.

შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, რომ ქვეყანაში ადაპტაციაზე მუშაობა სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებად გადაიქცეს, გამოიყოს შესაბამისი რესურსები და გაძლიერდეს მუშაობა საერთაშორისო რესურსებისა და ცოდნის მოძიების მიმართულებით.

https://www.wfd.org/sites/default/files/2023-12/Online%20-%20კლიმატის%20ცვლილების%20ზემოქმედება%20ქალებზე%20-%20GEO.pdf